



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1142
12/06/2018

ქალაქი ბათუმი

1142-05-4-201806121640



„მერის წარმომადგენლისთვის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 04 ივლისის №754 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ**

1. „მერის წარმომადგენლისთვის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 04 ივლისის №754 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების IV რანგის I კატეგორიის უმცროს სპეციალისტებს - შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში - ვალდებულების დაკისრების შესახებ“.

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების IV რანგის I კატეგორიის უმცროს სპეციალისტებს - შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში - დაეკისროთ შემდეგი ვალდებულებების შესრულება:

1.1 დაბადების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვა.

1.2 პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვა.“.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

